ProCredit Bank

21.09.2015

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, ალ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

თბილისის ფილიალი №1

შპს ეიბისილენდის (ს/კ 405076787)
დირექტორს - ქ-ნ თეონა გოგრიჭიანს
პ/ნ 34001002671

ავტორი : ნინო ჭუმბურიძე
ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1278)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : n.chumburidze@procreditbank.ge

თარიღი : 21.09.2015

თქვენი, 2015 წლის 21 სექტემბრის განცხადების საფუძველზე გაცნობებთ, რომ სს „პროკრედიტ ბანკი“ თანახმაა მიწის ნაკვეთზე მდებარე ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთი N 8. საკადასტრო კოდი: N 01.14.03.042.025 განახორციელოთ შეთანხმებული პროექტის კორექტირება და ახალი მშენებლობის ნებართვის აღება, თანახმაა განახორციელოთ ნებისმიერი სახის სამშენებლო სამუშაოები იმ პირობით, რომ სს პროკრედიტ ბანკის სასარგებლოდ არსებული იპოთეკა ავტომატურად გავრცელდება როგორც უძრავი ნივთის დაყოფის, გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე/ნივთებზე, ასევე იპოთეკის საგნისათვის მიმატებულ/მიშენებულ/დაშენებულ ფართობზე (იგივე ნივთზე), ასევე ამ მისამართზე არსებულ მომავალში ლეგალიზებულ ფართზე და იპოთეკის უფლებით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე მომავალში აღმართულ ნებისმიერ შენობა-ნაგებობაზე, ანუ იპოთეკის უფლება უნდა გავრცელდეს აღნიშნულ მისამართზე მდებარე მესაკუთრის სახელზე რეგისტრირებულ მთლიან ფართობზე , მიუხედავად იმისა , რის საფუძველზეც არ უნდა იყოს იგი სახეშეცვლილი.

ცნობა გეძლევათ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

პატივისცემით,

სს „პროკრედიტ ბანკი“, საქართველო

ფილიალის მმართველი

თამარ გერაძე

მცირე ბიზნესის კლიენტთა მრჩეველი

ნინო ჭუმბურიძე

1519084

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
27.09.2015	25.09.2015

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	გიორგი რაზმაძე 59001003523
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1343769
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1343769

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №8-ის მიმდებარედ, №01.14.03.042.025 საკადასტრო ერთეულისთვის საფეხმავლო გზის მოწყობის და ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, უსაფრთხოების და ტექნიკური ნორმების სრული დაცვით, არსებული ხე-ნარგავების დაუზიანებლად, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2014 წლის #QN1265795 გადაწყვეტილებით განსაზღვრული სხვა პირობების შესაბამისად.
3. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 4 (ოთხი) თვის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, შემდგომი გამოყენების ან/და სამუშაოების წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მთავრობის 16.02.11წ. №03.31.100 დადგენილება, ,,ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ აქტის გამოცემის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 10 მარტის №05.44.204 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მერის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქ.თბილისის მთავრობის №17.19.830. დადგენილება

საგადა[illegible]ება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე N 1

ProCredit Bank Georgia

ID 424[illegible]

[illegible]დელის დასახელება	შპს "ეიბისილენდი"	თანხა ციფრებით
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	405076787	3,000.00
ანგარიშის ნომერი	GE87PC0453600100003906	თანხა სიტყვებით
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი: MIBGGE22	სამი ათასი ლარი 00 თეთრი
სახელმწიფო ხაზინაში გადახდა - ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა		
დასახელება	შპს "ეიბისილენდი"	
პირადი #/ საიდენტიფიკაციო კოდი	405076787	ბანკის აღნიშვნები
მიმღების დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში / სხვა შემოსულობები / თვითმმართველი ქალაქი თბილისი	ბანკში შემოსვლის თარიღი
ანგარიში / სახაზინო კოდი	300773263	13.01.2016 11:14
მიმღების ბანკი / ხაზინა	საქ.ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური კოდი: TRESGE22	
გადახდის დანიშნულება	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	
დამატებითი ინფორმაცია	დადგენილება : 000714	ხელმოწერა
ხელმოწერები	ბეჭდის ადგილი	

ProCredit Bank ... MIBGGE22

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/e 1073-15

" 24 " 12 2015 წ

დადგენილება №000714
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

24.12.2015წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კახა ცეცხლაძემ განვიხილე 2015 წლის 16 ოქტომბრის №000714 მითითება და 2015 წლის 16 ნოემბრის №000714 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ეიბისილენდი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №405076787, დირ. თეონა გოგრიჭიანი (პირადი №34001002671, მის: ქ. თბილისი, მირიან მეფის 13, ბ. №63) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთ №8-ში (საკ. კოდი №01.14.03.042.025) შ.პ.ს. "ეიბისილენდი"-ს მიერ განხორციელდა გასართობი ცენტრის მშენებლობა ქალაქ თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №2212471 (AR1342414) 01.10.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: „1-6" ფასადი: დამატებით მოწყობილია ღიობები. „6-1" ფასადი: დამატებით მოწყობილია ღიობები. -6.90 ნიშნულზე შეცვლილია კიბის კონფიგურაცია, მარში და დამატებულია საფეხურები. -3.45 ნიშნულზე „ბ-ა" მონაკვეთში მონოლითურ კედელში მოწყობილია კარის ღიობი. -3.45 ნიშნულიდან ზემოთ „6-6" ღერძის გარეთ „გ-ა" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, მონოლითური სართულშუა გადახურვის ფილები, მონოლითური კონსოლები და რიგელები, რამაც გამოიწვია შენობის გაბარიტის და ფართის გაზრდა. ასევე სართულები გაზრდილია სიმაღლეში. მონოლითურ კიბეს ნაწილობრივ შეცვლილი აქვს საფეხურების რაოდენობა. ასევე ნაწილობრივ დამატებულია რიგელები და შეცვლილია სართულშუა გადახურვის ფილების სიხქ. ნაწილობრივ შეცვლილია მონოლითური კედლების რაოდენობა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდარღვევის მიმართ 2015 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ იქნა მითითება №000714, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2015 წლის 16 ნოემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000714, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

2015 წლის 17 დეკემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ეიბისილენდი"-ს დირექტორი თეონა გოგრიჭიანი (პირადი №34001002671), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ დარღვევების გამოსწორება ობიექტზე არის შეუძლებელი. აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე აპირებენ პროექტის კორექტირებული ვარიანტის შეთანხმებას არქიტექტურის სამსახურში. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ეიბისილენდი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა, ნაკვეთ №8-ში (საკ. კოდი №01.14.03.042.025) შ.პ.ს. "ეიბისილენდი"-ს მიერ განხორციელდა გასართობი ცენტრის მშენებლობა ქალაქ თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №2212471 (AR1342414) 01.10.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ეიბისილენდი" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ეიბისილენდი"-ს დაეკისროს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო** შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ეიბისილენდი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი კ. ცეცხლაძე

შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№347(A)/ 16. 05. 2016 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა ნაკვეთი №8, საკადასტრო კოდით №01.14.03.042.025 შპს "ეიბისილენდი"-ის საკუთრებაში არსებულ მშენებარე კორპუსის, რომელიც წარმოადგენს გასართობ ცენტრს კონსტრუქციული მდგრადობის კვლევა და კორექტირების შედეგად განსახორციელებელი სამუშაოების შესაძლებლობის დადგენა

თბილისი

2016 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა ნაკვეთი №8-ში, საკადასტრო კოდით №01.14.03.042.025 შპს "ეიბისილენდი"-ის წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შვიდ სართულიანი მშენებარე გასართობი ცენტრის მზიდუნარიან კონსტრუქციულ ელემენტებზე, კონსტრუქციული მდგრადობისა და საიმედოობის დადგენის მიზნით და ასევე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კორექტირებული პროექტის მიზან შეწონილობის კვლევა ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლებლობის დასადგენად.

აღნიშნული შენობის დათვალიერებისა და შემოწმების საფუძველზე გამოკვლეულ იქნა შენობის კონსტრუქციული ელემენტების მახასიათებლები, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. შენობის საძირკველი რკინა-ბეტონის წერტილოვან-ლენტური ტიპისაა;
2. მზიდი საანგარიშო სქემა განხორციელებულია მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული ტიპით;
3. სართულშუა გადახურვა მონოლითური რკინა-ბეტონის ორმაგად არმირებული ფილით არის მოწყობილი

შენობის მზიდუნარინი კონსტრუქციების შესწავლის შედეგად, საანგარიშო სქემა თავისი ტექნიკური მახასიათებელების მიხედვით საშუალო სირთულის კატეგორიისაა, კონსტრუქციული ელემენტების მიხედვით ამჟამად მშენებარე შენობაზე არ აღინიშნება ბზარები და რღვევის პირობები, რაც შენობის მდგრადობის პირობას საფრთხეს შეუქმნიდა, შესაბამისად დაცულია კონსტრუქციული ნორმები და გაანგარიშების მიხედვით მოცემული სამუშაოები. დღევანდელი მდგომარეობით შენობის საანგარიშო სქემა დამაკმაყოფილებელია, აქედან გამომდინარე დამკვეთს გათვალისწინებული აქვს საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კორექტირება, რომელიც კონსტრუქციული თვალსაზრისით წარმოდგენილია შემდეგი სახით:

განიცადა შენობის უკანა ფასადმა გაბარიტულ ზომებში მატება 2 სართულიდან 7 სართულის ჩათვლით 2.20 მ-ით, რომელიც არსებულ რკინა-ბეტონის კარკასზე რიგელებით კონსოლორი სახით გადმოდის.

არსებული რკინა-ბეტონის კარკასი კოლონები და რიგელები თავისი საანგარიშო სქემის მიხედვით გაანგარიშებულია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმატივებისა და წესების დაცვით. აღნიშნული კონსოლების კვეთი არ მოახდეს ზეგავლენას შენობის კარკასზე და არ გამოიწვევს არათანაბარი ძალვების წარმოქმნას, ვინაიდან ფარდობითობის მიხედვით წარმოდგენილი წონა ერთიან კარკასში თანაბრად გადანაწილდება.

ასევე განიცადა ცვლილება არქიტექტურული პროექტის მიხედვით სართულშუა მანძილებმა და ამჟამად სართულშუა მანძილები ზედა სართულებზე შეადგენს 3.40 მეტრს, რაც კონსტრუქციული სქემის მიხედვით არ ცვლის და არ მოახდეს შენობის მდგრადობაზე ზეგავლენას და ასევე არ საჭიროებს დამატებით საყრდენი ელემენტების კვეთების გაძლიერებას, ვინაიდან სიმაღლის კვეთი არ არის მკვეთრად გაზრდილი და ფაქტობრივად წარმოდგენილი მდგომარეობა უმნიშვნელოა მზიდი კონსტრუქციების მიმართ.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი მშენებარე შენობის ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობა აღნიშნულ მდგომარეობის მიხედვით დამაკმაყოფილებელია. ასევე კორექტირებული პროექტის მიხედვით სამუშაოების წარმოება მისაღებად მიგვაჩნია და არ მოახდეს გავლენას შენობის მზიდი ელემენტების მიმართ. აქედან გამომდინარე გათვალისწინებული სამუშაოები კვლევის მიხედვით დასაშვებად მიგვაჩნია ზემოთ ხსენებული კონსტრუქციული გარემოებების და სამშენებლო ნორმატივების დაცვით.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი: